აჭარისა ვტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
– საარქივო სამმართველო

2018 წლის გეგმის შესრულების ანგარიში

№ რ/გ	ძირითადი მაჩვენებლები	საზომი ერთეული	სამუშაოს მოცულობა			შენიშვნა
			გეგმა	შესრულება	%%	
1	2	3	4	5	6	7
1	I დოკუმენტების დაცვა და შენახვა					
	ა)საქმეთა შეკერვა	შეს. ერთ	9951	18275	183	
	ბ)მარტივი რესტავრაცია	ფურცელ	15088	27529	200	
2	განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოვლენა:					
	<u>გადათვალიერებულია</u>	<u>შეს. ერთ</u>	768	768	100	
	გამოვლენილია	შეს. ერთ				გამოვლინდა 24 საქმე
	ა)კინოდოკუმენტები	შეს. ერთ.	-	-		
	ბ)ფოტოდოკუმენტები	შეს. ერთ	-	-		
3	დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება	შეს. ერთ	37840	39692	104	
	ა)მმართველობითი-ქაღალდსაფუძვლიანი	შეს. ერთ.	25990	27048	104	
	ბ) პირადი შემადგენლობის	შეს. ერთ.	11850	12644	106	
	გ)კინოდოკუმენტი		-	-		
	დ) ფოტოდოკუმენტი	შეს. ერთ	1500	1816	125	
4	II–დოკუმენტების საინფორმაციო–საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება	შეს. ერთ	-	-		
	დოკუმენტებისა აღწერა					
	ა)მმართველობითი დოკუმენტაციის	შეს. ერთ	-	-		
	ბ)პირადი წარმოშობის დოკუმენტების	შეს. ერთ.	-	-		
	გ)ფოტო დოკუმენტების	შეს. ერთ.	-	-		
	დ)პირადი შემადგენლობის დოკუმენტების	შეს. ერთ.	-	-		

1	2	3	4	5	6	7
5	ე)სამეცნიერო-ტექნიკური **დოკუმენტების ანაწერების გადამუ-შავება**	შეს. ერთ	-	-		
	ა)მმართველობითი დოკუმენტაციის	შეს. ერთ	4258	4961	233	
	ბ)პირადი წარმოშობის დოკუმენტების	შეს. ერთ.	-	-		
	გ)ფოტო დოკუმენტების		-	-		
	დ)პირადი შემადგენლობის დოკუმენ-ტების	შეს. ერთ.	1295	1357	104	
	ე)კინო დოკუმენტების	შეს. ერთ	-	-		
	ვ)ფონო დოკუმენტების	შეს. ერთ	2000	3174	158	
6	**დოკუმენტების კატალოგიზაცია**					
	ა)მმართველობითი დოკუმენტაციისა და პირადი წარმოშობის დოკუმენტების	ბარათი	-	-		
	ბ) ფოტო დოკუმენტების	ბარათი	-	-		
7	III – ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირება **დოკუმენტების მიღება**					
	ა)მმართველობითი დოკუმენტაციის	შეს. ერთ	1680	1524	90	
	ბ) პირადი წარმოშობის დოკუმენტების (მოქალაქ.)	<u>შეს. ერთ.</u>	-	275		
	გ) ფოტოდოკუმენტების	დოკუმენ.	585	842	143	
	ე)პირადი შემადგენლობის დოკუმენ-ტების	შეს.ერთ	640	1815	283	
8	**დოკუმენტების მიზნობრივი შემფა-სებელი ექსპერტიზა**					
	<u>გადათვალიერებულია</u>	<u>შეს. ერთ.</u>				
	გამოყოფილია გასანადგურებლად	შეს. ერთ.				
	ა) მმართველობითი დოკუმენტაციის	<u>შეს. ერთ</u>	245	247	100	
	ბ) ფოტოდოკუმენტების	შეს. ერთ შეს. ერთ	200	309	154	

1	2	3	4	5	6	7
	გ)პირადი შემადგენლობის დოკუმენ-ტების	შეს. ერთ	2858	11399	399	
	დ)თემატური ზარათები	ზარათი	-	-		
9	საარქივო სამმართველოს საექსპერტო შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება	შეს. ერთ				
	(შეთანხმება)ა)მმართველობითი დოკუმენტების	შეს. ერთ	1680	1524	90	
	ბ)სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტა-ციის	შეს. ერთ	-	-		
	გ)კინოდოკუმენტი	შეს. ერთ	-	-		
	დ)ფოტოდოკუმენტი		585	842	143	
	ე)პირადი შემადგენლობის დოკუმენ-ტების	შეს. ერთ	740	1815	283	
	ვ)პირადი წარმოშობის	შეს. ერთ	-	275		
10	სახელშეკრულებო საწყისებზე საქმეთა მოწესრიგება, რომელთა ანაწერები დამტკიცებულია (შეთანხმებულია) საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიის მიერ					
	ა)მუდმივად შესანახი დოკუმენტების	შეს. ერთ	-	-		
	ბ)პირადი შემადგენლობის დოკუმენტების	შეს. ერთ	-	-		
	IV–დოკუმენტების გამოყენება.					
11	დოკუმენტების გამოფენის ორგანიზება	გამოფენა	10	13	130	
12	რადიო და ტელე გადაცემების მომზადება	გადაცემა	3	11	366	
13	სტატიების და დოკუმენტების მომზადება (პუბლიკაცია)	პუბლიკა-ცია	12	22	183	
14	არქივში ღონისძიებების კონფერენციების, ექსკურსიების და გაკვეთილების მომზადება-ჩატარება	ღონისძიე ბა	17	20	117	

1	2	3	4	5	6	
15	თემატური ნუსხების მომზადება	–	3	3	100	
16	ჟურნალ „არხეიონის“ გამოცემა	ჟურნალი	2	2	100	
17	საინიციატივო ინფორმაცია	–	2	2	100	
18	შეკითხვის შესრულება	–				
	ა) თემატური – მომართვები და წერილები	–	-	-		
	ბ)სოციალურ–უფლებრივი ხასიათის	შეკითხვა დადებითი პასუხი	-	1374 1202		ა)უარყოფითი 172 განბიუჯეტში ჩაირიცხა 26 528 ლარი
19	არქივის სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მუშაობის ორგანიზება	მკვლევარი ——— გაცემული საქმე	-	62 425		
20	საქმეთა დიგიტალიზაცია	გვერდი	2.078532	2.117144	102	

სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი

2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს და მისი ტერიტორიული ორგანოების არქივების მიერ 2018 წლის გეგმის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო მუშაობას წარმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებული ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

მიმდინარე წლის საარქივო სამმართველოს და მის ტერიტორიულ ორგანოების არქივების მიერ, მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფის, აღრიცხვის, დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების, საქმისწარმოების ორგანიზაციის, დოკუმენტების ფორმირების, მათი შემფასებელი ექსპერტიზის და საუწყებო შენახვის, დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-განმტკიცებისათვის.

I – დოკუმენტების დაცვა და შენახვა

1.ა) 2018 წლის ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდა სულ 18 275 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9951 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 191%-ით. მათ შორის საარქივო სამმართველოში ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდა 13959 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6370 ს/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 219 %-ით.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდა სულ 4316 საქმეთა ერთეულს: ქობულეთის არქივში 1080 ს/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 761 ს/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 141%-ით; ხელვაჩაურის არქივში 1410 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1050 საქმისა და გეგმა შესრულდა 134 %-ით; ქედის არქივში 471 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 619 საქმისა და გეგმა შესრულდა 76 %-ით; შუახევის არქივში 1036 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 836 საქმისა და გეგმა შესრულდა 123%-ით; ხულოს არქივში 319 საქმეს, ნაცვლად გეგმით

გათვალისწინებული 315 საქმისა და გეგმა შესრულდა 101%-ით. (დანართი I.1 ა.პუნქტი).

აღნიშნული სამუშაოს გეგმის გადაჭარბება გამოიწვია, გაციფრისათვის, დიგიტალიზაციის პროცესისათვის ფონდებისა და საქმეთა მოწესრიგებამ და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში (ქობულეთი, ხელვაჩაური) გაციფრისათვის საქმეთა მომზადების პროცესმა .

ბ) 2018 წლის საარქივო სამმართველოში მარტივი ფურცლოვანი რესტავრაცია ჩაუტარდა 27529 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15088 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 200 %-ით. (დანართი–1.1 ბ.პუნქტი).

გეგმის გადაჭარბება გამოწვეულია გაციფრვისათვის ფონდების საქმეთა მომზადების გამო.

2. განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოვლენა.

გეგმის მიხედვით 2018 წელს გადათვალიერდა, განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოსავლენად 1999-2002 წლების ქაღალდსაფუძვლიანი, აჭარის არ უზენაესი საბჭოს, ფონდი რ-322 -ის საქმეები. სულ გადათვალიერდა 768 დოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 768 შ/ერთეულისა. გამოვლინდა 24 განსაკუთრებულად ღირებული ქაღალდისფუძიანი დოკუმენტი და გეგმა შესრულდა 100 %-ით. შედგა აღწერილობითი სია. სია განხილული იქნა საექსპერტო შემოწმებელ კომისიაზე. (დანართი I.2. ა. პუნქტი).

3. დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება.

საარქივო სამმართველოსა და სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო – არქივებში დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა სულ 39 692 შ/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37 840 საქმისა და გეგმა შესრულდა 104%-ით. მათ შორის: მმართველობითი-ქაღალდსაფუძვლიანი 27 048 შ/ერთეულის 1. 903 742 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 990 შესანახი ერთეულისა და გეგმა შესრულდა 104 %-ით. პირადი შემადგენლობის 12 664 შ/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11850 შ/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 106%-ით.

საარქივო სამმართველოში მმართველობითი ხასიათის დოკუმენტებს არსებობა და მდგომარეობა ჩაუტარდა 22 020 საქმეთა ერთეულის 1.639061 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 014 საქმისა და გეგმა

შესრულდა 104 %-ით, ტერიტორიული ორგანოს – არქივებში: **ქობულეთის** არქივში 1155 საქმეთა ერთეულის 63799 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 964 საქმისა და გეგმა შესრულდა 119%-ით, **ხელვაჩაურის** არქივში 1315 საქმეთა ერთეულის 125159 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1545 საქმისა და გეგმა შესრულდა 102%-ით. **ქედის** არქივში 522 საქმის 12651 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 692 საქმისა და გეგმა შესრულდა 75 %-ით, **შუახევის** არქივში 1039 საქმის 39 568 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1038 საქმისა და გეგმა შესრულდა 100 %-ით, **ხულოს** არქივში 997 საქმის 23509 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 997 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით. (დანართი I.3.ა.)

ასევე საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა **პირადი** შემადგენლობის სულ 12644 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11850 საქმისა და გეგმა შესრულდა 106%-ით მათ შორის საარქივო სამმართველოში 11801 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11007 საქმისა და გეგმა შესრულდა 107%-ით.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში: შუახევის არქივში 843 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 843 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით (დანართი I.3.ბ. პუნქტი). პირადი შემადგენლობის საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება გეგმით არ იყო გათვალისწინებული ტერიტორიულ ორგანო ქობულეთის, ხელვჩაურის, ქედის და ხულოს არქივებში.

2018 წელს არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა 1876 ფოტოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1500 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 125%.

II – დოკუმენტების საინფორმაციო საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება

4. **დოკუმენტების აღწერა.**

დოკუმენტების საინფორმაციო – საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების კუთხით 2018 წელს **სამმართველოში, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს** არქივებში ქაღალდსაფუძვლიან საქმეთა აღწერა, გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

5. დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება-გაუმჯობესება

მმართველობითი დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება-გაუმჯობესების მიზნით საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა სულ 46 ფონდის 6318 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5553 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 113 %-ით. აღიწერა 4569 საქმეთა ერთეული, გასანადგურებლად გამოიყო 1210 საქმე, ტექნიკური დაზუსტება + 14 ;– 165, 387 შესანახი ერთეული გადავიდა გადავიდა N2.3 აღწერაში. აქედან საარქივო **სამმართველოში** 24 ფონდის 2020 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1924 საქმისა და გეგმა შესრულდა 104%-ით. აღიწერა 1179 საქმე, მაკულატურაში გამოიყო 682საქმე, ტექნიკური დაზუსტება +14 ;– 156. 17 შესანახი ერთეული გადავიდა N2 აღწერაში.

ტერიტორიული ორგანოს არქივებში გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა 24 ფონდის 4298 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3448 საქმისა და გეგმა შესრულდა 124%-ით. აღიწერა 3390 საქმე, გასანადგურებლად გამოიყო 528 საქმე, ტექნიკური დაზუსტება + ; – 6 .

ტერიტორიულ ორგანო – **ქობულეთის** არქივში გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა 9 ფონდის 601 საქმეს, მაკულატურაში გამოიყო 435 საქმე, აღიწერა 122 საქმე, მათ შორის, მმართველობითი ხასიათის 5 ფონდის 169 ს/ერთეულს, პირადი შემადგენლობის 4 ფონდის 432 ს/ერთეულს.

ხელვაჩაურის არქივში 5 ფონდის 429 საქმეს, მაკულატურაში გამოიყო - 0 აღიწერა 429ს/ერთ..

შუახევის არქივში 4 ფონდის 721 საქმეს, მაკულატურაში გამოიყო - 0 აღიწერა 721 ს/ერთეული.

ხულოს არქივში გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა 4 ფონდის 1324 ს/ერთეულს. აღიწერა 1066 საქმე, მაკულატურაში გამოიყო 482 საქმე, დაზუსტება - 6 საქმე. 370 ს/ერთეული გადავიდა N3 აღწერაში.

ქედის არქივში გაუმჯობესება-გადამუშავება გეგმით არ იყო გათვალისწინებული (იხ. დანართი II.5 ა.ბ).

ასევე გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა საარქივო სამმართველოში დაცულ 3174 ფონოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2000

ფონდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 158%-ით. გადამუშავების დროს მაკულატურა არ გამოყოფილა (იხ. დანართი II.5გ.).

6. **დოკუმენტების კატალოგიზაცია გეგმით არ იყო გათვალისწინებული**

III-ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირება.

7. **დოკუმენტების მიღება.**

2018 წელს საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიულ ორგანოს არქივებში, სახელმწიფო შენახვაზე მიღებულია ქაღალდისფუძიანი სულ 3339 საქმეთა ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2320 საქმისა და გეგმა შესრულდა 143 %-ით. აქედან მიღებულია **მმართველობითი** ხასიათის სულ 1524 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1680 საქმისა და გეგმა შესრულდა 90%-ით. ასევე მიღებულია **პირადი შემადგენლობის** სულ 1815 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 640 საქმისა და გეგმა შესრულდა 283%-ით.

საარქივო **სამმართველოში** მიღებული და აღრიცხვაზე აყვანილია სულ მმართველობითი ხასიათის 1288 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1255 საქმისა და გეგმა შესრულდა 102%-ით. მიღებულია პირადი შემადგენლობის 1236 ს/ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 335 საქმისა და გეგმა შესრულდა 368 %-ით.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია სულ **მმართველობითი** ხასიათის 236 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 425 საქმისა და გეგმა შესრულდა 55%-ით: **ქობულეთის არქივში** 91 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 90საქმისა, და გეგმა შესრულდა 101 %-ით, **ხელვაჩაურის** არქივში მიღებულია 91 საქმე – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 საქმისა და გეგმა შესრულდა 182%-ით. **ქედის არქივში** მიღებულია 73 საქმე – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 საქმისა და გეგმა შესრულდა 112%-ით, **შუახევის** არქივში მიღებულია 130 საქმე – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 საქმისა და გეგმა შესრულდა 130%-ით, **ხულოს არქივში** მიღებულია 126 საქმე – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 120 საქმისა და გეგმა შესრულდა 105 %-ით.(იხ.დანართი- III 7.ა.ბ.)

2018 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებული იქნა **პირადი შემადგენლობის** სულ 1815 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 640 საქმისა და გეგმა შესრულდა 283%-ით. აქედან: საარქივო

სამმართველოში – მიღებული იქნა 1236 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 335 საქმისა და გეგმა შესრულდა 368%-ით; **ქობულეთის** არქივში მიღებული იქნა 339 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 115 საქმისა და გეგმა შესრულდა 294%-ით; **ხელვაჩაურის** არქივში გეგმის გარეშე მიღებულია პირადი შემადგენლობის 15 საქმე. **ქედის** არქივში მიღებული იქნა 57 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 საქმისა და გეგმა შესრულდა 190 %-ით; **შუახევის** არქივში მიღებული იქნა 80 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 საქმისა და გეგმა შესრულდა 100 %-ით; **ხულოს** არქივში მიღებული იქნა 89 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 საქმისა და გეგმა შესრულდა 111 %-ით;

ასევე მიღებული იქნა ფოტოდოკუმენტები: საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია სულ 842 ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 585 ფოტოდოკუმენტისა. აქედან საარქივო **სამმართველოში** მიღებულია 721 ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 144%-ით, ხოლო ტერიტორიულ ორგანოს არქივებში, სულ მიღებულია 121ფოტოდოკუმენტი. აქედან **ქობულეთის** არქივში მიღებულია 20 ფოტოდოკუმენტი, **ხელვაჩაურის** **არქივში 20 ფ., ქედის არქივში 10 ფ., შუახევის არქივში 20 ფოტო და ხულოს** არქივში 15 ფოტო დოკუმენტი (იხ. დანართი – III.7 ა.გ.დ. პუნქტი).

მიღებული საქმეები შემოწმდა და შედარდა საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დამტკიცებულ აღწერილობით სიებს, შემოწმდა საქმეთა ფიზიკური მდგომარეობა და სათანადო საქმეთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ განთავსდა ფონდსაცავების თაროებზე. მიღებული ფოტოდოკუმენტები დალაგდა თემატურად. თითოეული ფოტო ჩაიწყო კონვერტში, გაიშიფრა და ანოტაცია გაუკეთდა ფოტოზე ასახულ მოვლენებს, რომლებიც შეიცავენ ჩვენი კუთხის ისტორიის ამსახველ მოვლენებს. შემოტანილ მასალებზე შედგა ფოტოანაწერები თემების მიხედვით. ასევე ფოტო ფირებზე აღიბეჭდა საარქივო სამმართველოში გამართული სხვადასვა ღონისძიებები. მიღებული იქნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორის ამირან კახიძის პირადი წარმოშობის ფონდი, მწერალი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი მიხეილ დავითაძის, პროფესორის პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ნოდარ ბასილაძის, ქართველი

მეცნიერის, სამხედრო და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, გენერალ-მაიორის, აკადემიკოსი, ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორის ელგუჯა მეძმარიაშვილის პირადი ფონდი. სულ 275 ს/ერთეული.

8. დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა – გადათვალიერება.

2018 წელს სამმართველოს ცენტრალურ არქივსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში დაცული დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა ჩაუტარდა 30 ფონდის სულ 11 646 საქმეს – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2858 საქმისა და გეგმა შესრულდა 407%-ით, მაკულატურაში გამოიყო სულ 2227 საქმე, აღწერილობითი სია შედგა 9035 შესანახ საქმეთა ერთეულზე. 384 საქმე გადავიდა მუდმივ შესანახად (საკომლო წიგნები).

ქედის არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა **მმართველობითი** ხასიათის 1 ფონდის სულ 101 საქმეთა ერთეულს, მაკულატურაში გამოიყო 44 საქმე და ანაწერი შედგა 57 შ/ ერთეულზე.

შუახევის არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა **მმართველობითი** ხასიათის 2 ფონდის სულ 146 საქმეთა ერთეულს, გეგმა შესრულდა 100%-ით, მაკულატურაში გამოიყო 21 საქმე და ანაწერი შედგა 125 შ/ ერთეულზე.

სამმართველოში, ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ხულოს არქივებში მმართველობითი ხასიათის საქმეების ექსპერტიზა გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

ექსპერტიზა ჩაუტარდა **პირადი შემადგენლობის** სულ 37 ფონდის 11 399 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2613 საქმისა და გეგმა შესრულდა 436%-ით. მაკულატურაში გამოიყო 2162საქმე, ფონდში დარჩა 8853 საქმეთა ერთეული. 384 საქმე გადავიდა მუდმივ შესანახად (საკომლო წიგნები).

საარქივო **სამმართველოში** ექსპერტიზა ჩაუტარდა 33 ფონდის 10495 საქმეს, მაკულატურაში გამოიყო 2121საქმეს და ფონდში დარჩა 8373 საქმეთა ერთეული.

შუახევის არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა 2 ფონდის 269 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 269 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით. მაკულატურაში გამოიყო 30 საქმეთა ერთეული (თვის, კვარტლის ანგარიშები, სიები, მიმოწერა პრემირების შესახებ) და ფონდში დარჩა 138 საქმეთა ერთეული.

ხულოს არქივში ექსპერტიზა ჩაუტარდა 2 ფონდის 636 ს/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 568 საქმისა და გეგმა შესრულდა 111 %-ით (მაკულატურაში გამოიყო დროებითად შესანახი 11 საქმე) ფონდში დარჩა 241 საქმე. 384 საქმე გადავიდა მუდმივ შესანახად .

ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის არქივებში მიზნობრივი ექსპერტიზა გეგმით არ არის გათვალისწინებული.

ასევე მიზნობრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა 309 ფოტოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 154%-ით (იხ. დანართი III.8.ა,გ. პუნქტი).

9. საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება (შეთანხმება).

2018 წელს საარქივო სამმართველოში ჩატარდა 6 მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა დაწესებულება-ორგანიზაციის 101 საკითხი, მათ შორის მმართველობითი ხასიათის 4797 საქმე, ხანგრძლივად შესანახი – 6729 საქმე, ფოტოდოკუმენტი –872 . აქტის მიხედვით გასანადგურებლად შეირჩა –15144 საქმეთა ერთეული. ასევე განხილული იქნა 94 საქმეთა ნომენკლატურები, დებულებები და პირადი წარმოშობის 275 ს/ერთეული

10. საარქივო სამმართველოში მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავება სახელშეკრულებო საწყისებზე არ ხორციელდება, რადგან განყოფილების სპეციალისტები ღებულობენ შტატით გათვალისწინებულ სახელფასო სარგოებს.

2018 წელს საარქივო სამმართველოს დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სპეციალისტების მიერ მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა 45 დაწესებულება-ორგანიზაციის 30572 და ოთხი პირადი წარმოშობის ფონდის 275 საქმე, მათ შორის მუდმივად შესანახი 2130 საქმე, ხანგრძლივად შესანახი 12614 საქმე, დროებითად შესანახი 978 საქმე, მაკულატურაში გამოიყო 14850 საქმეთა ერთეული. დაწესებულება-ორგანიზაციის საარქივო დოკუმენტების დამუშავება მიმდინარეობდა გეგმის გათვალისწინებით. ასევე დამუშავების თანამშრომლების მიერ შემუშავდა საქმისწარმოების ნორმატიული დოკუმენტები: სხვადასხვა

ორგანიზაცია-დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურები, დებულებები, საქმისწარმოების ინსტრუქციები.(იხილეთ დანართი III.10.ა).

IV – დოკუმენტების გამოყენება

11. . შეკითხვების შესრულება

2018 წლის შემოვიდა სოციალურ-უფლებრივი ხასიათის სულ 1374 შეკითხვა, აქედან დადებითი პასუხი გაეცა 1202 შეკითხვას, უარყოფითი 172 -ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა 26 528 ლარი.

მათ შორის **საარქივო სამმართველოში** 2018 წელს შემოვიდა სულ 290 სოციალურ-უფლებრივი ხასიათის მოქალაქეთა განცხადება, განცხადებაზე გაიცა 198 დადებითი პასუხი. უარყოფითი პასუხი გაიცა 92 განცხადებაზე.. საარქივო მომსახურეობიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 1714 ლაარი

ქობულეთის არქივში შემოვიდა სულ 535 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა 479-ს, უარყოფითი 56-ს. ბიუჯეტში ჩაირიცხა – 11 100 ლარი.

ხელვაჩაურის არქივში შემოვიდა სულ 300 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა 285 შეკითხვას, უარყოფითი 15– ს, ბიუჯეტში ჩაირიცხა 7000 ლარი.

ქედის არქივში შემოვიდა სულ- 41 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა – 40-ს, უარყოფითი 1 პასუხი. ბიუჯეტში ჩაირიცხა – 1229 ლარი.

შუახევის არქივში შემოვიდა სულ –64 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა 59 , უარყოფითი 5, ბიუჯეტში ჩაირიცხა 989 ლარი.

ხულოს არქივში შემოვიდა სულ – 144 შეკითხვა, დადებითი პასუხი გაეცა 141 შეკითხვას, უარყოფითი –3 ბიუჯეტში ჩაირიცხა –4496 ლარი.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სულ შემოვიდა 5391 მომართვა. მათ შორის დადებითი პასუხი გაეცა 4714-ს. უარყოფით 1459 მომართვას.

12. დოკუმენტების გამოფენის ორგანიზება.

2018 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მოეწყო 13 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 გამოფენისა, გეგმა შესრულდა 130%-ით. აქედან საარქივო სამმართველოში 6 გამოფენა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 გამოფენისა და გეგმა შესრულდა 200 %-ით.

ტერიტორიულ ორგანო ხელვაჩაურის არქივში შესრულდა 2 გამოფენა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 გამოფენისა. ქედის, შუახევის, ხულოს და

ქობულეთის არქივში შესრულდა გეგმით გათვალისწინებული თითო გამოფენის მოწყობა.

1. ამაგდარი არქივისტები (2018 წლის მარტი);
2. 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა (2018 წ. აპრილი)
3. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელი (2018 წ. 20-31 მაისი)
4. საარქივო სამმართველო ფოტოდოკუმენტებში (2018 წ. 1-8 ოქტომბერი)
5. ბრანობელების საქმიანობის ამსახველი საარქივო დოკუმენტების გამოფენა (2018 წ. 15-24 ოქტომბერი);
6. საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთ ნახატების გამოფენა (2018 წ. დეკემბერი)

13. რადიო და ტელე გადაცემის მომზადება.

2018 წელს საარქივო სამმართველოში მომზადდა და რადიო-ტელევიზიით გადაიცა 11 გადაცემა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 გადაცემისა

1. მაია ივანიშვილი, თამარ ჯორბენაძე - 2018 წლის 2 მარტი, გადაცემა ,,ჰეშთეგი"
2. მაია ივანიშვილი, ელგუჯა ჩაგანავა - 2018 წ. 4 მარტი - გადაცემა ,,დილის ტალღა"
3. ფილმი ,,არტაანი, მეორე ნაწილი, აჭარის ტელევიზია, 2018 წ. 9 მარტი;
4. დოკუმენტური ფილმი ,,ოშკი" - თ. ფუტკარაძე
5. თამაზ ფუტკარაძე, დოკუმენტური ფილმი ,,ყადირ შერვაშიძე", ტვ აჭარა, 2018 წ. 29 მაისი, საღამოს გადაცემა;
6. თამაზ ფუტკარაძე, დოკუმენტური ფილმი ,,ოშკი". აჭარის ტელევიზია, 2018 წ. 12 მაისი
7. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემათა ციკლი - ,,საარქივო ფონდებში დაცული საქართველოს დამოუკიდებლობის ამსახველი დოკუმენტები" (26. 05. ფრ ქარდავა)
8. საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა ,,მთავარი" - ,,საინტერესო სტატიები საარქივო სამმართველოში დაცული 1924-1937 წლების პრესის ფურცლებიდან" (ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე. 26. 06. 2018)
9. 9. ტელესიუჟეტი ტვ-25 -ზე საარქივო საქმიანობაზე - 22 ივლისი, საღამოს 9 საათზე, საინფორმაციო გადაცემაში
10. ტვ-25. პირდაპირ ეთერში მ. ივანიშვილი საღამოს , საინფორმაციო გადაცემის შემდეგ
11. ერთსულოვნება, დოკუმენტური ფილმი საქართველოს ისტორიაზე, თ. ფუტკარაძის მონაწილეობით, 23 ივლისი, 2018 წელი

14. სტატიების და დოკუმენტების მომზადება (პუბლიკაცია).

2018 წელს მონაცემებით მომზადდა და გამოქვეყნდა 22 სტატია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 სტატიისა: აქედან საარქივო სამმართველოში მომზადდა 17 სტატია, ტერიტორიულ ორგანო -არქივებში 5 სტატია.

1. თ. ფუტკარაძე, აკადემიური განათლებისა და ცოდნის გაცვლის ეროვნული მოდელი საქართველოში. ,,არხეიონი" – 15. თბ. 2018;
2. ს.სტურუა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის ბათუმის ჯგუფი (1938), ,,არხეიონი" – 15. თბ. 2018;
3. ფრ. ქარდავა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1919-1920 წწ. ფონდ ი-84-ის მიმოხილვა, ,,არხეიონი" – 15. თბ. 2018;
4. მ. სურმანიძე, ნ. გოგიტიძე, ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებული მუზეუმის მოკლე გზამკვლევი, ,,არხეიონი" – 15. თბ. 2018;
5. ე. ჩაგანავა, მახუნცეთის ხიდი, ,,არხეიონი" – 15. თბ. 2018;
6. თ. ფუტკარაძე, რეცენზია ,,არქივის კვალდაკვალ-ბათუმი".
7. „მოხსენებითი ბარათი სავაყუფო საკითხებთან დაკავშირებით ბათუმში" (თარგმანი) (მზია სურმანიძე 06. 02)
8. ფრიდონ ქარდავა, მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე, „ბათუმის ქართული გიმნაზია 1918-1921 წწ". ,,არხეიონი", N 16, თბ. 2018;
9. ფრიდონ ქარდავა, „მკვლევარმა არქივის წიგნადი ფონდი გაამდიდრა" საარქივო სამმართველოს ვებგვერდი);
10. ფრიდონ ქარდავა, უკრაინა - აჭარის საარქივო სამმართველოს დოკუმენტებში (გამოქვეყნდება ეროვნული არქივის კონფერენციის მასალებში);
11. ფრ. ქარდავა, „სამი ნიკოლოზ გომანი ბათუმში" , მზადაა და განთავსდება ვებგვერდზე) ;
12. თამაზ ფუტკარაძე, ეთნიკური ისტორიის, იდენტიფიკაციის და კულტურული მეხსიერების საკითხები ცენტრალური ლაზეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, აჭარის საარქივო სამმართველოს მე-8 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ. 2018;
13. თამაზ ფუტკარაძე, პოლონეთი და პოლონელები ქართველი ეთნოლოგის თვალით, ,,არხეიონი", 16, თბ. 2018;
14. მაია რურუა, ხსოვნაში გაცოცხლებული სახელები, აჭარის საარქივო სამმართველოს მე-8 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ. 2018;
15. თენგიზ პარმაქსიზიშვილი, ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ აჭარაში", აჭარის საარქივო სამმართველოს მე-8 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ. 2018;

16. ელგუჯა ჩაგანავა, აჭარის ექიმები არქივში დაცული ფონდების საფუძველზე, აჭარის საარქივო სამმართველოს მე-8 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ. 2018;
17. გუგული პატარიძე, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული კაპიტანი, ,,არხეიონი", N 16, თბ. 2018.

განახლდა და ახალი, უფრო სრულყოფილი და მობილური სახე მიიღო სამმართველოს ვებ გვერდმა. სისტემატურად შუქდება სიახლეები და სხვა საინფორმაციო მასალები.

15. არქივში კონფერენციების, ექსკურსიების და გაკვეთილების ჩატარება.

სამმართველოში და მის ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სტუდენტებს და მოსწავლეებს ჩაუტარდა 20 ექსკურსია-გაკვეთილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ექსკურსია-გაკვეთილისა. ექსკურსია-გაკვეთილი ჩაუტარდათ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაუტარდათ ექსკურსია-გაკვეთილი დარბაზში მკვლევართა მუშაობის წესების შესახებ და ლექცია თემაზე „საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება 1928 წლიდან (ფ. ქარდავა 30. 05)
2. სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსის" ოფის-მენეჯერის სპეციალობის სტუდენტებს ჩაუტარდათ ლექცია-გაკვეთილი თემაზე: „დარბაზში მკვლევართა მუშაობის წესები" აგრეთვე არქივს მნიშვნელობასა და აჭარაში საარქივო საქმის განვითარებაზე (მ.სურმანიძე. ნ.გოგიტიძე 31. 05).
3. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის ოფის-მენეჯერის სპეციალობის მდივან-რეფერენტის მეოთხე საფეხურის სტუდენტებს ჩაუტარდათ პრაქტიკული მეცადინეობა სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მუშაობის წესების შესახებ: მკვლევართა მომსახურების ღირებულების, მომსახურებაში შეღავათების გაწევის, განყოფილების მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების შესახებ (მ. სურმანიძე, ნ.გოგიტიძე. 18.06);
4. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტებს ჩაუტარდათ ექსკურსია-გაკვეთილი: დარბაზში მკვლევართა მუშაობის წესები (მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე 06.12);
5. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტებს ჩაუტარდათ ლექცია თემაზე „ბათუმის ქართული გიმნაზია 1918-1921 წწ." (მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე 06.12).

სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში ჩატარდა სხვა და სხვა ღონისძიებები:

1. საქართველოს ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 2018 წ. 22 თებერვალი;
2. დედის დღე -2018 წ. 2 მარტი
3. არქივისტის დღე - 2018 წ. 2 მარტი
4. ქალთა დღე - 2018 წლის 2 მარტი (გადაიცა აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემაში 2018 წ. 2 მარტს (საღამო)
5. 23 მარტი, იუნკრების საფლავთან
6. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტერიტორიულ ორგანო ხულოს არქივში (2018 წ. 30 მარტი)
7. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტერიტორიულ ორგანო შუახევის არქივში (2018 წ. 4 მაისი)
8. ფაშიზმზე გამარჯვების 73 წლისთავის ღონისძიება, ს. ტაბაღუაზე ფულის გადაცემა (450 ლარი)
9. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საჯარო ლექცია წაიკითხა პროფ. ო. გოგოლიშვილმა (28.05.2018)
10. ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქველმოქმედო ღონისძიება (შეგროვდა 405 ლარი) (1. ივნისი)
11. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტერიტორიულ ორგანო ქედის არქივში (2018 წ. 29 ივნისი)
12. 3 აგვისტო, 2018. ,,სევდიანი ფერეიდანი" - მოწვეული იყო ჟურნალისტი ნიაზ ზოსიძე, რომელმაც ისაუბრა ფერეიდანული შთაბეჭდილებების შესახებ
13. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტერიტორიულ ორგანო ხელვაჩაურის არქივში (15 აგვისტო, 2018;
14. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტერიტორიულ ორგანო ქობულეთის არქივში 12 ოქტომბერი, 2018;
15. საახალწლო ღონისძიება (გაიმართება 26 დეკემბერს)

16. სამკითხველო დარბაზში მკვლევართა მუშაობის ორგანიზება.

სამკითხველო დარბაზი 2018 წელს მოემსახურა 62 მკვლევარს, რომელთა მომსახურეობის მიზნით მომზადდა, შეირჩა და მათ მიერ გამოყენებული იყო 383 საქმეთა ერთეული, – მკვლევარები მუშაობდნენ თემაზე:

1. ნინო გოგიტიძე (მოსწავლე) - ალამბრის საჯარო სკოლის ისტორია 1900- 1980 წწ
2. იაკობ გოგიტიძე - ქვედა ახალშენის სკოლის ისტორია 1925-1995 წწ.
   ეკატერინე ბარამიძე, თემურ ავალიანი - ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა (ზემო აჭარის მაგალითზე);
3. მერაბ ბლადაძე, ნიაზ ზოსიძე, მფრინავი რაზმის მეთაური ხასან თხილაიშვილი;
4. მზია შანთაძე, იოსებ სანიკიძე, პრესა და პუბლიცისტიკა აჭარაში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 1879-1880 წლებიდან მეოცე საუკუნის სამოციან წლებამდე.
5. ტატიანა კოპალეიშვილი - კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს.
6. ა. ცინცაძე ნ. სვანიძე, მ. სურმანიძე თ. კახიძე, მ. აბაშიძე - აჭარის მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილის აგება: ისტორიული მონაცემების სტატისტიკური შეფასება და მომავლის პროგნოზირება;
7. ინგა ხალვაში, მაია თედორაძე, კინო ბათუმში 1910-1950 წწ;
8. ბიჭიკო დიასამიძე, ოთარ თურმანიძე, უჩა ოქროპირიძე, მაია ჭიჭილეიშვილი, ოლეგ ჯიბაშვილი - აჭარა 1878- 2010 წწ;
9. ზოია ცხადაია, მაკა ელბაქიძე მანანა შამილიშვილი, მარიამ გიორგაშვილი - ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ XX ყრილობამდე (1941-1956 წწ.)
10. მერაბ მეგრელიშვილი -აჭარა 1878- 2010 წწ;
11. აბესალომ ასლანიძე -„მუსლიმთა მიერ არაბეთის ნახევარკუნძულზე არსებულ წმინდა ადგილების მოლოცვის ამსახველი დოკუმენტები“
12. ვადიმ აზბელი, ტომას ტიუდენი, ბენგტ იანგ ფელდტი , „ნობელების ბათუმში მოღვაწეობის კვალდაკვალ“;
13. დონარი რიჟვაძე -„ბათუმის #1 საჯარო სკოლის ისტორია
14. ნაკაშიძე ნესტანი, ემა ნაკაშიძე, მაკა ლომაძე - აჭარის საარჩევნო მასალები; ხატია რომანაძე, ლილე შენგელია - „ ბათუმის თოჯინების თეატრი“;
15. თამარ კიკნაძე - „ბათუმის ბულვარის ლოგო“;
16. ნიაზ ზაქარაძე - „ქედის ხიდის მშენებლობა 1924-1925 წწ“;
17. მანონ ლილუაშვილი - „ბათუმის ურბანული გეგმარება 1801-1918 წწ“;

18. კარინა ბაზეიანი - „1918-1921 წლის მოვლენების არეალი შირაქის მოსახლეობის ისტორიული მეხსიერების კონტექსტში;
19. გრიგორ აგაიანი -1918-1921 წლის მოვლენების არეალი შირაქის მოსახლეობის ისტორიული მეხსიერების კონტექსტში;

მკვლევართა მიერ ნასარგებლებია:

383 საქმე და გაზეთები: „ფუხარა“ 1924-1929 წწ; „საბჭოთა აჭარსტანი“ 1929 წ, „საბჭოთა აჭარა“ 1937 წ, „ტრუდოვოი აჭარსტანი“ 1922-1924 წწ, „ბატუმსკი რაბოჩი“ 1937-1946 წწ - სულ 42 ს/ე.

ჟურნალ „არხეიონის გამოცემა. გამოიცა სამეცნიერო ჟურნალის „არხეიონი“-ს XV და XVI ნომერი,

გამოსაცემად მომზადდა ბუკლეტი „აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში“.

გამოიცა მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები - წიგნად.

18 – თემატური ნუსხების მომზადება

2018 წელს მომზადდა 3 თემატური ნუსხა:

1. მომზადდა თემატური ნუსხა - „ბათუმის ველოსიპედისტთა საზოგადოება XIX საუკუნის ბოლოსა და 20-ე საუკუნის დასაწყისში” (ფრიდონ ქარდავა, მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე 25. 04).
2. მომზადდა თემატური ნუსხა:„არქივის ფონდებში დაცული ფოტოდოკუმენტები“ . პირველი ნაწილი (ფრიდონ ქარდავა, მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე)
3. მომზადდა თემატური ნუსხა: „ბერძნები აჭარაში“ (პირველი ნაწილი) ფრიდონ ქარდავა, მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე

19 – ასევე მომზადდა გეგმით გათვალისწინებული 2 საინიციატივო ინფორმაცია.

1. მომზადდა საინიციატიოვო წერილი და გაიგზავნა ბათუმის მერიაში გრ. ვოლსკისთან დაკავშირებით ;
2. მომზადდა და გაიგზავნა საინიციატივო წერილი ტრაგიკულად დაღუპულ ახალგაზრდა პოეტის ლევან გელაძის შესახებ მწერალთა კავშირის ფონდში მოკვლეულ მასალები

20. **დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანა.**

საარქივო სამმართველოში შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილების მიერ, რომელიც ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადატანის უზრუნველყოფით არის დაკავებული 2018 წლის მონაცემებით შესრულდა 21 ფონდის გაციფრვა: სულ გაციფრა **დასკანირდა** 17 812 საქმის, 2.117 144 გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.078 532 გვერდისა და გეგმა შესრულდა 102 %-ით. **დარედაქტირდა** 2.113 962 გვერდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000 000 გვერდისა და გეგმა შესრულდა 105 %-ით.

პროგრამაში ატვირთულია 9256 ს/ერთეული მისი ანოტაციებით.

21. **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.**

საარქივო დარგის სრულყოფისათვის, საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით, 2018 წელს განხორციელდა 521 100 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, რაც წლიური გეგმის 96,6% -ს შეადგენს.

გამოცხადდა 369 474 ლარის ღირებულების 9 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გაფორმდა ხელშეკრულებები: დაცვის, ინტერნეტმომსახურეობის, კომპიუტერული მოწყობილობის, საკანცელარიო საქონლის, სარემონტო სამუსაოების შესყიდვაზე, სერვისების შესყიდვასთან დაკავშირებით და სხვა. თანხობრივმა ჯამმა შეადგინა 363 027 ლარი. ჩატარებული ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 6 447 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის 10 ხელშეკრულება, თანხით 22 110 ლარზე. შესყიდული იქნა ბენზინისა და დიზელის საწვავი, კომპიუტერული მოწყობილობები: ლეპტოპი, საკომუნიკაციო მომსახურეობა, საბეჭდი ქაღალდები, საბურავები, კვების უწყვეტი წყარო და სხვა.

გაფორმდა 135 962 ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. შესყიდული იქნა: სატელეკომუნიკაციო მომსახურება, პროგრამა „კოდექსის“ ინსტალაცია, გამანათებელი მოწყობილობები, ელექტრო, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელი. საბუღალტრო შესყიდვების პროგრამული

ტრანსპორტის ტექნიკური, აუდიტორული, დაცვის მომსახურეობა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურეობა, ხარნძარსაწინააღმდეგო საშუალებების ტექნიკური მომსახურეობა, აუდიტური მომსახურეობა. დასრულდა საცავის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი

2018 წ.